

# „ჭვერი ვაზისა“



გამოდის ყოველ კვირას  
ღირს 8 მ. წ. ც. № 10 კაპ.

რედაქცია „ჭვერი ვაზისა“  
კათოლიკების ქუჩა № 4

ამ წლის 26 მარტის თვიდან გამოდის სურათიანი ყოველ  
კვირეული საეკლესიო საზოგადოებრივი გაზეთი

## „ჭვერი ვაზისა“

სრული პრეგრამით

უახლესი გაზეთისა ერთი წლით 4 მან., 26 მარტიდან წლის დამლევაბდე გაზეთი ეღირება  
მხოლოდ 3. მანეთად, ცალკე ნუმერი 10 კაპ. ხელის მოწერა მიიღება ტფილისში — 1  
„ჭვერი ვაზის“ რედაქციაში კათოლიკების ქ. № 4 კათოლიკეთა ეკლესიის სახლში, წერა  
კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში ბ. შ. ქუჩუკაშვილთან.



მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა .

**მეცნიერება.** - მეცნიერება, ცოდნა, სწავლა, არის აღსასრული უსაქიროესად გამოსადეგი კაცი-სათვის საზოგადოებაში, კაცი მეცნიერებას უნდა ხმარობდეს თავითვის და საზოგადოთ კეთილ დღე-ბის წარსამატებლად. კეთილი მიზნების ასრულება-ში დიდ სამსახურს გაუწევს მეცნიერება მეცნი-ერება კაცისათვის არას საქირო, სსსარგებლო და განუშორებელი თან.-მგზავრი.

რა არის მეცნიერება? მეცნიერება, ამბობს ბაქო-ნი, მგებებს ცოდნაში საგანთა, მათი არსებითი კანო-ნების ძალითა და თვისი მიზეზებითა. რაჟამს კაცი განიცდის მიზეზთა, კანოთა, წესთა, წყობილებათ, მაშინ გათვალისწინებული ექნება რომელიმესაგან ყველა საგანთა და მოვლენათა და შემთხვე-ვათა აქვს თავისი განსაკუთრებული მიზეზი და საფუძველი. ყველა ამ ბუნების მოვლენებს როგორც მეცნიერი ისე უმეცარი ყურადღებ-ს აქცევს. მაგ-რამ როგორ და რისთვის იგი ღორძინდება ანა-მხოლოდ მეცნიერი მიხედება. მეცნიერი თუ ვერ მიხედება იმ მიზეზთა, რომელნიც არის საიდუმლოე-ბა ბუნებ-სა, მაინც შეიგნებს გაიცნობს წესთა მათის აღორძინებისა. ვინ მასცა კალენდარს შემ-დგენელს (დროთა მრიცხველს) შეძლება, რომ ერ-თი წლის წინეთ გამოცეხადებინა, წუთების გამო-კვლევით, ის რაც უნდა მომხდარიყო? რასაკვირ-ველია, მეცნიერებით შემკულმა ადამიანმა. ვარსკვლ-ათ-მრიცხველმა იცის ზესკნელთა მწერლობა (კოსმ გრაფია) ესე იგი წესნი და კანონი ვარსკვ-ლათა და პლანეტთა მოძრაობი-სასებ. თუ უნ-და რომ კაცს მეცნიერი გაცეს, საქიროა: აღმოა-ჩინოს მიზეზნი და წეს-კანონი შემთხვევათა და ცვლილებათა. ესე იგი საქირო თუბანი, რომლ-ის ძალით ეს შემთხვევანი და ცვლილებანი წარ-მოიშობებიან და ურობლისოდ არას დრთს არ იქ-ნებიან.

2 მეცნიერმა უნდა დაახელმეოროს, ან შეს-ცვალოს, ან შეცვაოს, რომ აღარ მოხდეს ცვლი-ლებანი ან გადაახვედეროს, ან გაარაოოს.

თი ამისათვის ბაკონმა სთქვა: -ბუნებას ვერ შეგვიძლია უბრძანოთ, მხოლოდ კი ვემორჩილოთ... ცოდნა არის წინედ მხედველობა და წინეთ მზრუ-ნველობა-

**მეცნიერების სიკეთენი**

ბაკონმა სთქვა: -კაცის შექლება ექვემდებ-არება მეცნიერებას-

ყველასაგან ცნობილია ბისუეტის სიტყვა მე-ცნიერების შესახებ. მეორე ნაწილში, სიტყვა სი-ვლილზედ 1662 წ. წარმოთქმული.

„მე არ ვეთანხმები მათ, რომელნიც კაც-რივ ცოდნას ბევრს რამეს აწერენ, მაგრამ ვაღ-რებ, რომ დიდ განცვიფრებაში, განკვირება-მოცყავარ მეცნიერებისგან აღმოჩენილებათა და მოგონებითა, რომელნიც ხელოვნებამ აღმოაჩი-ჩენი ცხოვრების გასაუმჯობესობლად. კაცმა ქე-ყნიერებას პირი უცვალა თითქმის; თაე სი დიდს-ლობით დაიმონაჲა ყველა პირუტყენი, რომელნი-მას ძალით და ღონით დიდათ აქარბებდნენ.

კაცა გასწურა, დაიმორჩილა პირუტყე-მიდრეკილებანი, დაიშინაურა მათი ურჩი თავისუ-ლება, უსულდგმულითა ქმნილებათა ძალანი შე-გნო და დაიმონაჲა. ნუ თუ დედამიწა არ დანებ-და კაცს, რომ უფრო უყეთილესი ნაყოფნი აღმოეცენ მცენარეებმა ხე-ხილნარმა შესცვალა თავისი ველ-რი გემოვნება, უკეთეს გემრ-ელ ნაყოფთა მიცემი-უნაყოფო იქმნება აღენიშნო, თუ მეცნიერებამ მ-დენი ზედ გავლენა იქონია ცეცხლზე და წყალ-რომელნიც არიან შეურთებელი მტერნი ე-თ-ნეთისა.

ახლა მეცნიერება დიდსარგებლობას და სიკე-აძლევს კაცობრიობას. რაღა გვინდა? ადამიანი-თითქოს ცამდის ავიდა; ვარსკვლავთაგან ისწავ-თუ როგორ გზა დაუკარგავად შეიძლება მგზავრო-მზესაც კი მოსთხოვა ანგარიში ყოველ მის ფ-წადგმაზე! ღმერთმა რა შექმნე კაცი, რომ იგი უ-თილიყო მეუფე ქმნილებათ, მასში გაუშვა ერთ-ირი ინსტიკტი, (თვისება) გამოსაძებნათ მთელ მ-ნებაში რაც მას აკლია. აი ამისთვის არის, რ-კაცი, როგორც თავის საკუთარ მამულში ჩხრ-იკვლევს ყველას, რომ არა რაა გარეშ-როს ცნობის მოყვარობას.

თუ რომ ბისუეტი ლაპარაკობდა მეცნიე-რებზედ 1662 წ. უწინარეს აღმოჩენისა ან ს რ გ-ლობაში გამოყენებისა ორთქლისა, ნავთისა, ელექ-ტონისა, რაღას იტყოდა, რომ დაენახა უზარ-მაზ-ხომაღლები, რომლებსაც შეუძლია 3000 კი-ლომეტრი გადაიყვანოს ხუთ დღეში ლივერპული-ნიუიორკში-

რკინის გზების ორთქლ-მავლები, რომელ-ერთი საათის განმავლობაში შეიძლება 80-1-ვერსტამდის გაეღა. ავტომობილების შესახებ იტყოდა? ნუ დავასახელებუ თუ რა სიაღვი-იხერიტება მთები 15-20 კერსტის სიშორებზედ

სამკვლავ მაშინებისა რაღა ითქმის რომლითაც ერთი სათის განმავლობაში ათითასი ფურცლები ბეჭდებიან სი. დვილით. ტელეგრაფებზედ, ტელეფონებზედ, რომ სულაც სიტყვას ვეღარ იშოვნის, რომ წესიერი ქება შესახას გამამგონებელსა.

**მეცნიერების სარგებლობანი არიან ეკანონიერი სიკეთენი.**

კაცმა გამოიყენა ეს აღმოჩენანი თავისი არსებობის გასაუმჯობესებლად და მიწიერი ნიადაგზედ მოსახმარებლად. მეცნიერებას აქვს, უმეტეს ნაწილად პრაქტიკულა ხასიათი.

ქრენობა გამოიგონა შრატუ ყვავილის საწინააღმდეგოდ; პასტორმა თავისი გამოცდილებით დაგმო, გაუტრუა რწმენა უკებედ ჩასახებ-წარმოშობაზედ. გვიჩვენა, რომ გაფუნება და გვაშთა სიწამხდრე წარმოიშობება გახრწნილი ბაცილებითა, რომელიც ჰაერში იმყოფებიან. სხვათა შორის დავასახელებთ მის მიერ გამოგონილი ცოფის საწინააღმდეგო შრატს. სახად ავთიმყოფობის და სხვა აცრანი, რომელმაც კაცობრიობას სიცხოველე მისცა და სიკვდილს ხელიდგან გამოაცალა. ექპარსა აბრეშუმის საქსოვად გამოიგონა ახალი მ. ნქანა, რითაც მოუშატა მოგება და ააცილა ზედ-მეტი შრომა თვის-თანა შემამულებს.

მეცნიერებამ ბევრი რამ გააკეთა, შემდეგშიც უქადის კაცობრიობას ახალი გამოგონებებით მათი ცხოვრების გაუმჯობესობას, მაგრამ სიცოცხლესკი ვერ ჰბადავს. ხშირა შეაერთებს, შეაზავებს, მაგრამ არას იღვს ვერ აცხოველებს და ვერც უღვავს სულის ნათიერებას. შემდეგათაც მეცნიერება აღმოაჩენს ბევრ ბუნების საიდუმლოებათა, გააცნობს ადამინს ამის კანონებს და მისცემს მას საშვალებას რომ ბუნებაზე მან იბატონოს, დაიმონაოს და დაიმორჩილოს იგი

**მით მეთის წერილი**

**ინფილიკა საზარაგათის საზღვდლოაგინსადმი.**

(ზემდეგი\*)

საფრანგეთის კანონის ახალი წესები ეწინააღმდეგებიან იმ დადგენილებათა რომლებზედ იესო ქრისტემ დააფუძნა თვისი ეკლესია. საღმრთო წერილი და წმიდა მამათა და ვედრება გვასწავლის და გვიბტკიცებს, რომ ეკლესია არის საიდუმლო გვაში იესო ქრისტესი, რომელიც იმწყესება მწყესთავან და მოძღვართავან (2), როგორც ადამიანთა საზოგადოება, მაშასადამე მათ შორის მოიპოებიან

\*) იხილეთ „ეკლესია ვახია“ №№ 1, 2, 3, 4.

უფროსნი, რომელთაც აქვთ ხელმწიფობა, რომ მწყემსონ, ასწავლონ და განასამართლონ (3); აქედან იგულისხმების, რომ ეკლესია არის არსებითად უსწორი საზოგადოება, ესე იგი საზოგადოება რომელშიაც მოიპოებიან ორ ნაირი (კათეგორიის) ბირნი მწყემსნი და ცხოვარნი; პირველთ უპყვრიათ იერარხიაში რომელიმე ხარისხები და მეორები კი შეადგენს სიმრაველესა მორწმუნეთასა. ეს ორი კათეგორია ერთი მეორისაგან განირჩევიან მით, რომ გვაშთა შინა მწყემსებისა მხოლოდ მოიპოების უფლება და საჭირო ავტორიტეტი, რომლის ძალით ამოძრავებს და მიიყვანს ეველა ნახამთა მთელი საზოგადოების აღსასრულზედ. დანიშნულება კი სიმრავლისა, ერისა, არის მხოლოდ, რომ მწყემსთ შეუწყოს ხელი და როგორც მორჩილი ცხვარი დამორჩილოს თავიანთ მწყემსთა.

წმიდა კობრიანე აღნიშნავს რა ამ კეშმარტეზას დიდის საკვირველის სახით სწერს: „უფალი ჩვენი, რომლის მცნებათა პატივის ცემა და დაკრძალვა ჯერ-არს გააწესრიგა ეპისკოპოსთა ხელმწიფობა და ნაირობა თუ რასახით უნდა არსებობდეს თვისი ეკლესია, ბძანებს სახარებაში, როდესაც პეტრეს ელაპარაკება: „და გეტყვი შენ, რამეთუ შენ ხარ კლდე“ და სხვა...

ვამთა ვითარებათა გამოცდის შემდეგ ეპისკოპოსთა კირნახულება და წესიერება ეკლესიისადმი ჩვენ ნათლად გვიხატავს, რომ ეკლესია არის დამყარებული ეპისკოპოსთა ზედა და მათი აქტიური მოქმედება ნამწყემსარია მითგან.

უფალი ჩვენი რომლის მცნება ჯერ-არს ჩვენდა კრძალვად და აღსრულებად ეპისკოპოსთა პატივი და ეკლესიის მართვისათვის სახარებაში ამბობს და ეუბნება პეტრეს: „და მე გეტყვი შენ რამეთუ შენ ხარ პეტრე“ და სხვა, აგრეთვე და ეკლესიის არსებობის საბუთით ჩანს, რომ ეკლესია არს დამფუძნებელი ეპისკოპოსთა ზედა; ყოველივე მოქმედება ეკლესიისა იმ მწყემსების მითგანვე განწყესებულთა მიერ. (4)

წმიდა კობრიანე ამტკიცებს რომ, ესე ყოველი დამყარებულია ღვთიულ სჯულზე: **ღვთიულ მცნებათა ზედა დაფუძნებულ, არს“.**

ამ მცნებათა და პრინციპთა წინააღმდეგ **ქანონი განცალკევებისა** ასაკუთრებს მოვალეობასა და დაცვასა არა ღვთის მსახურების ხარისხის გვაშთ იერარხიული და ღვთიულად დამფუძნებელსა იესო ქრისტესაგან, არამედ ერთ ეროვნულ შეკრებილთ საზოგადოებასა. ამ საზოგადოებას თავს ახვევს ერთ

გვარ სახელი, ჰყოფს იურიდიკულ პირთა და რაც შეეხება რელიგიოზურ მორწმუნოებას. მთავრობის განკარგულება თავის თავს გრძნობს მხოლოდ მქონედ და შესაკუთრედ მოქალაქობრივი ვალდებულება და პასუხის მგებლობა ყველას წინაშე.

ა) სწორეთ ამ მოქალაქებრივ საზოგადოების ხელში ჩაეა რდება მართვა-გამგებელთა ტაძართა და ეკლესიათა; მთავრობა განაგებს ეკლესიურ ქონებათა უძრავ და მოძრავ მამულთა ეამიერად; მთავრობა განაგებს, საეპისკოპოსთა სამღვდელთა და სასემენარიო წესწყობილებათა, ერთი სიტყვით მთავრობა განაგებს ქონებათა, გაანაწილებს წყალობის მოკრეფასა და სხვა შემოწირულებათა რაც რელიგიოზურ მსახურებას შეეხება.

მაგრამ გვამსა იერარხიულსა მოძღვართასა და მწყემსთა ეს განცალკევების კანონი ხმასაც არ იღებს, გარნა თუ კანონი უბძანებს, რომ სარწმუნოებრივმა საზოგადოებამ უნდა იქონიოს თავისი არსებობის საფუძვლად საზოგადო წესიერება. მთავრობა თავისთვის ინარჩუნებს წარმოებას, უფლებასა მის დამი პროტექციის გაწევასა, მაგრამ, სხვა ადგილას, მის კანონში იხსენიებს: თუ ვინიკობა რაიმე შუღლი, უთანხმოება აღმოჩნდა ქონებათა კუთვნილების დროს, მაში სამთავრო სათათბიროს მხოლოდ შეუძლია თავისი მსჯელობით გაათავსოს დაეა მოკამათეთა შორის.

როგორც სხვა განწესებანი ეს სარწმუნოებრივი საზოგადოება იქმნება სამოქალაქო. ავტორიტეტის თვალის წინ, მაშინ საეკლესიო გამოცხადებათა და კანონითა არა ვითარა ძალა და ღონე არ ექმნება მოქმედებაში.

რა დიდი შეურაცყოფაა ეკლესიისათვის, როდესაც წინააღმდეგნი არიან ღთიულ შეძლებათა და დადგენილებათა. ყველა ცხადათ ამჩნევენ ამას თუმც კანონების დადგენილებაში არიან ის აზროვანი სიტყვები, რომლითაც მთავრობას ეძლევა დიდი თავისუფლება, რომ როგორც უნდა ისე აღასრულოს თავისი კანონი და კიდევ თავის ნატურისაშებრ მისცეს მას მსვლელობა ყველა საეკლესიო საქმეებში, ამისათვის უეჭველად მოსალოდნელია დიდი უსიამოვნება და უბედურება.

კიდევაც რომ ეს კანონები სრულებით ეწინააღმდეგებიან ეკლესიის თავისუფლებას, რადგან საფრანგეთში ჰგვიებს სარწმუნოებრივი, რელიგიოზური საზოგადოებანი. კანონმა განცალკევებისამ შეაწიროს და აუკრძალა მწყემსთა, რომ თავიანთი სრული ავტორიტეტი ეხმარათ მთელ თავის სამ-

წყსოში მღვდელზედ და ერზედ.— უმწურვალეს შეძლება მისაკუთრა სამთავრო სათათბიროს; ამითი მან შებოქა გაგრძობა სარწმუნოებრივ—რელიგიოზური საზოგადოებათა; გაუძნელა მათ არსებობა, ეკლესიურ შინაურ საქმეებში შეერი: უშლის, უკრძალავს კათოლიკე სარწმუნოებრივ და ზნეობრივ სწავლა ქადაგებას. გამოსცა მკაცრი და ბუღლებანი საღმდველოების დასასჯელად, როდესაც თავის თვით-ნებობას აწეს-აკანონებს, მაშინ ეკლესიას აყენებს უკანასკნელ დამამოკრებელ ხარისხზედ. ვითომდა საზოგადო, წესიერების დასაცავად მსკარცავს მოქალაქეთა იმ ქონებათა, რომელიც თავიანთი სარწმუნოებრივ, რელიგიოზურ ცხოვრებას უცხოველებდა მამათა-მთავრობა (5); აგინებს ეკლესიას მისთვის, რადგან თავისი დაშორებით ისაკუთრებს იმ უფლებას, რომელიც მას აქვს და არც ექმნება; ამითი ჰკარგავს ყველა ხალხზე ვაგლენას და იმდურებს ყველას და ზიზღს ჰგვირის ყველას გულში.

მთავრობამ თავის მიზნის მისღწველად გააუქმონა მონაზონთა წესნი, ძვირფასნი თანაშემწენი სასულიერო მოღვაწეობისათვის, სწავლისათვის, აღზრდისათვის, ქრისტიანულ კაცთ მოყვარების საქმეების აღსასრულებლისათვის; ეს არ იკმავა, არამედ მოუსპო ეკლესიას კაცობრივი საქრო საშვალბანი არსებობისათვის და მისი მოვალეობის აღსრულებისათვის.

(გასაგრძობია)

**მარიამობები.**

სარწმუნოების თავისუფლების გამოცხადებამ შემდეგ (17 აპრ. 1905). კათოლიკეთა ეკლესიისათვის თავი იჩინა, მარიამიტეთა მწვალებლობამ. ბოლოდროს მათ მიიქციეს მთელი რუსეთის საზოგადოების და ბეჭვითი სიტყვის ყურადღება. შევეცდები გავაცნოთ მოკლეთ. ჯვარი ვაზის. მკითხველებს ეს მწვალებლები.

მარიამიტები პირველად გაჩნდნენ 1893 წელს მაგრამ ბოლო დროს მოქმედებდნენ ფარულად, სარწმუნოების თავისუფლების გამოცხადების შემდეგ დაიწყეს ქადაგება ცხადათ.

მარიამიტთა დაარსების იდეა ეკუთვნის ქალაქ პოლოცკში მცხოვრებ ბერს. კაპუცინ გონრატს, მწვალებელთა ორგანიზატორად—კი ითვლებს სამოცი წლის მოხუცი ქალი, ფელიქრა კოზლსკისა. გონორატის სურვილი იყო კათოლიკე-

სამღვდელოების ცხოვრება მოეწყო იმ წესით, რომ მისი სწავლის მიმყოფნი ვალდებული ყოფილიყვნენ სავსებით შეესრულებინათ სამი ალთქმა: გლახაკე, მორჩილება და უბიწოება (1) ფ. კოზლოვისამ მოიწონა ეს აზრი და შეუდგა მის გავრცელებას ყოველს უპირველეს ქსენზთა შორის.

კოზლოვისკაის ჩამომავლობის და მოქმედების შესახებ ვადაწყვეტით ვერის ვიტყვი, რადგანაც დანამდილებათ ჯერ არაა გამორკვეული, თქმულება—კი ბევრნაირია. ხოლო ის—კი ქეშმარიტება, რომ მისმა 12 წლის მოქმედებამ დიდი ნაყოფი გამოიღო: 1). დღეს მარია ვიტებათ ითვლებიან 100—ზე მეტი ქსენზი და 500, 000—მდე (2) პოლონელი—კათოლიკე. ცხოვრობენ იგინი ვარშავის, პოლოცის, პეტროკოვისკის, კალიშის, სედლეცის და ლიუბლიანის გუბერნიებში.

კოზლოვისკის მიერ დაარსებულ საზოგადოებას ეწოდება „მარტივტები“ იმატომ, რომ წევრებს მიზნით აქვთ წ. ბაძონ წმ. ქალწული მარიაშის ცხოვრებას. წევრნი დიდ პატივს სცემენ სასწაულთ მოქმედ ღვთის მშობლის ხატს, წოდებულს „დაუღალავ დამხმარებლად“, ბერძნულის წარწერით და გვაზრით. ამ ხატის (3) პირს ყველა მარიავეტი ატარებს.

მარიავეტები ვალდებულნი არიან ილოცონ ყოველად წმიდა ღვთის მშობელი და პატივი სცენ უფალს იესო ქრისტეს წმ. ნაწილებში; ხშირად სთქვან (4) აღსარება და ეზიარნენ; იცხოვრონ ქრისტიანულად; სასტიკად შეასრულონ ღვთისა და ხელმწიფის კანონები. ქსენზი—მარიავეტები არავითარ მონაწილეობას არ იღებენ პოლიტიკურის საქმეებში თანახმად მიცემულის ალთქმისა, მათ არუნდა სუან მაგარი სასმელები, არ მოწიონ თუთუნი, არც ითამაშონ ბანკო, არც მიიღონ ფული საეკლესიო წესების შესრლებისათვის, არ სქამონ ხორცი და თევზი, არც იქონიონ საკუთრება და არც ჩაიკვან მდიდრულათ; ვალდებულნი არიან თავიანთი ძალღონე და ცოდნა მოახმარონ ღვთის მსახურებას და მრევლის სულიერს განვითარებას. მარიავეტი—ქსენზები აკონებენ მრევლს არ მიიღონ მონაწილეობა იმისთანა\*) პოლიტიკური პარტიებში და კავშირებში, რომელნიც დამფუძნებულია მშვიდობის, სი-

1) ეს სამი ალთქმა თავის თავად შეერთებულია მღვდლებთან... რედ.

\*) ცოდ-ქრობის შორის არაა აკრძალული პლატონიური სიყვარული; ამ მხრივ „მარიავეტების“ სწავლა წაგავს „მანველთა“ სწავლას.

\*\*) ადორატორს (adorator) ლათინური სიტყვაა ნიშნავს (თაყვანის მკემელს).

ყვარულის და წესიერების ნიდაგზე—კი არა, არამედ მძულვარებისა, უწყსოებისა, ძაღ ღატანებისა და ამბოხებისაზე.

4 მარიავეტი შესდგება სიტყვისაგან: „მარია“ (მარიაში) და (vita) (ვიტა)—ცხოვრება.

მარიავეტთ განაგებს კავშირი, რომელიც შესდგება ოთხი ჯგუფისაგან:

I. პირველ ჯგუფს ეკუთნიან მღვდლები (საკუთრივ მარიავეტები), იგინი ვალდებულნი არიან შეასრულონ სამი ალთქმა: სიგლახაკე, მორჩილება და უბიწოება. მათ ყავთ უფროსი ხელ—მძღვანელი ქსენზი, რომელსაც ირჩევენ საიდუმლო ხმის მიცემით.

II. მეორე ჯგუფს შეადგენენ ღღათ—მარიავეტები (ქალწული ქალები\*). იგინი ასრულებენ იმავე ალთქმას, რასაც პირველი ჯგუფის მარიავეტები, ვალდებულნი არიან გაუწიონ თადარიგი საქველმოქმედო დაწესებულებას და ირჩინონ თავი საკუთარის შრომით.

III. მესამე ჯგუფს ეკუთნიან ტერციარები. იგინი შესდგებიან სხვა-და-სხვა წოდების და მდაბიო ხალხისაგან; არ სტოვებენ თავიანთს ხელსაქმეს, ასრულებენ წმ. ფრანცისკის ორდენის მესამე წესდებულებას და ეზმარებიან ქსენზ მარიავეტებს სასულიერო მოქმედებაში.

IV. მეოთხე ჯგუფს შეადგენენ დანარჩენი მარიავეტები, რომელნიც იწოდებიან ადორატორებად\*\*. მათი ვალია თვეში ანუ წელიწადში ერთხელ მანც ილოცონ საიდუმლო ზიარების მიღების წინ. ვისაც კოსტელში ლოცვა არ ეზბერება, მას ნება აქვს ილოცოს თავისს სახლში.

მარიავეტების სწავლის გავრცელებას, კოზლოვისკაის გარდა, რომელიც დღეს არის მწვალეულევის თავი („გენერალი“), ხელს უწყობს ნასწავლი ქსენზი კოვალსკი. ამბობენ, რომ სახლო მომავალში კოვალსკი იქნება დანიშნული მარიავეტთა მთავარ ეპისკოპოსადო? 2) მარიავეტებს სურთ თავისუფალი, პაპისგან დამოუკიდებელი ეკლესია.

კათოლიკე-პოლონელებს და მარტივტებს არ უყვართ ერთმანეთი ამისთვის მათ შორის ხშირათ ხდება უთანხმოება, ჩხუბი და შეტაკება.

რადგანაც მარიავეტები გაუდგნენ უწმ. პაპს, ამიტომ ეპისკოპოსებმა გადააყენეს ქსენზი-მარტივტები და გამოაცხადეს მწვალებლებად. - მღ. ი. ჯაში.

\*) სხვანი ამბობენ 60 მღვდელს, და ნაკლები ვრსა, მაგრამ დანამდილებთ არა ვიცითთა ვიდრე ცნობა არმოგვივა რედ. და 3.

2) ვისგან სხებული?

**საზოგადო მიმოხილვა.**

**რუსეთი** რუსეთის მთავრობამ ფული იშოვა ევროპის ბირჟა ბანკებში. საფრანგეთმა დიდი დახმარება აღმოუჩინა ამ საქმეზედ.

— სახელმწიფო სათათბიროში წარმომადგენლებს ირჩევენ; 324 ამორჩეულია.

— აგრარული მოძრაობა ჯერ არ შეწყვეტილა რუსეთში.

— ამნისტიას ელოდებიან ყოველგან და ყოველასათვის.

— მთავრობამ აღმოაჩინა სხვადასხვა ქალაქებში და დაბებში საიდუმლო სტამბები და ყუმბარები.

**საზრანგეთი** ალექსანდრის საქმე გათავდა; რუსეთის სესხზე ხელი მოაწერა და დიდი დახმარება აღმოუჩინა რუსეთის მთავრობას საფრანგეთის მთავრობამ.

— ქ. ბორდოში გაიხსნა ასის წლის იუბილეს საღმრთაწაულო ანატომიის მედიცინისა და სხვა მეცნიერების კონგრესი

**გერმანია.** გერმანიის იმპერატორი ინახულებს ალფონს XIII დარბაზობის გადასახდელად.

**საქსონია.** პრინც გიორგი საქსონიისა იქმნა აღიარებული მემკვიდრეთ ფრანჩისკე ფერდინალდისა.

**ბავარია.** ბავარის პრინცმა დაადასტურა ახალი კანონი ამომრჩეველთათვის.

**ისპანია.** მეფე ალფონსს. XIII ქორწინების დღე აღნიშნულია 1 ივნისისა. დიდ პარასკევს მეფე ალფონსმა, აპატია ყოველა სასიკვდილოთ დასჯილთა.

**პორტოგალია.** იტალიანური ენა იქმნა აღიარებული ოფიციალურ ენად ქ. ლიზაბინუ მედეკონის კონგრესის დროს.

**იტალია.** ვეზუვის დიადმა უბედურობამ. მიიქტა მთელი ქვეყნის ყურადღებლობა დაზარალბულთა რიცხვი დიდია.

— მლანის ქალაქში ექსპოზისიონის გამართვაში მრავალი მთავრობანი იღებენ მონაწილეობას.

— მინისტრი ზაქი აშხადებს პროექტ კანონს მაისტრატურის რეფორმისათვის.

**საბერძნეთი.** საზოგადო პოლიტიკური ამორჩევანი დასრულდა. თეოტიკისტები ამოირჩა 120. როლისტები 42. ზამისტები 7. და დამოუკიდებელნი 8.

— მეფე და დედოფალი ანგლითერის ქორწულში მობზანდებიან. მეფე გიორგი წაბზანდა ქორწულში მეფე ედუარდის მისაღებად.

ერთი ფლოტი ანგლიის პირეს წყლებში იმნებიან. პრინცი ბატემბერგის თაოსნობით პრინც და პრინცესა გალისამ ინახულეს ათენი დავსწრს ოლემპიურ თამაშობას.

**შვედცია.** მეფე შვედებისა ინქოგნიტოთ ბძანდნა პარეში ინახულეს პრეზიდენტ ფალიერ

**სათათრეთი.** რედვან ფაშის მომკვლელები სიკვდილო დასაჯნე,

— გამოვიდა ახალი ირადე რომელიც ამტყებს მადნეულობის კანონს.

— მუხთარ ფაშის აღმოუჩენია სამნების ამყრა, ბოროტ გამძრახველთაგან ყოფილა თუ საგგებოდ ჯერ გამოკლული არის.

**ამერიკა.** საგლესო საინტერნაციონალო ნონს ადგენენ. შეერთებულ შტატებში.

**ბრაზილია.** პრეზიდენტმა ბრაზილის რესპლიკისამ მიიწვა კარდინალ აღიბუქვეერქვა კავკანტისა და გაუმართა სადიპლომატიკო სადილი

**ვენეზუელა.** ვენეზუელის პრეზიდენტმა სტრომ, დროებითა თავი დაანება კსპუბლ პრეზიდენტობას.

თავის მოადგილეთ არის პირველი ვიცე პრეზიდენტი კომეზი.

**ა ზ ი ა.**

**იაპონია.** იაპონიაში გამოაცხადეს რომ ჩურია იქმნა გახსნილი ყველა საგარეო ქომერსთვის.

**ჩინეთი.** ხუნანის და შანგჯეტუნის პროვენცებში პროვეკატური შეტაკებანი მოხდა.

**ეპისკოპოსი ეპითიმოს წაილი**

ჩემნი თანამსახურნი და მოძმენი ყოველსამღვდელონი პეტრე და გიორგი აუწყებენ საბჭოთა-გაღივებას, რომ ისინი არიან მომხრენი საქართველოს ეკლესიის აკთოკეფალობისა. როგორც ეს აზრი არის საკუთრება არა მხოლოდ ერთი ორას მღვდელთ-მთავრისა, არამედ ყველა ქართველ ეპისკოპოსებისა. ამ აზრით გამსქვათა წარსულის წლის ნოემბერშივე ოთხთავე ველ ეპისკოპოსებსა ყოვლის გულის წადილი ვადგინეთ წერილობითი განცხადება და დავამჩვენის საკუთარის ხელის მოწერითა, რომ სველოს ეკლესია იყო და ამისათვის ელად დევშიაც უნდა იყოს აკთოკეფალური. ჩვენ წყვეტილება იყო კრებითი და ჩვენი განკეყოვლად შეუძლებელია. თუნდა რომ ყველა

ლოდნელად ვინმე მოინდომა განკერძოება, შინც ის იმით ვერ დაარღვევს საზოგადო ანუ კრების გარდაწყვეტილობას, რადგან ეს გარდაწყვეტილება, როგორც ვსთქვი არის საკუთრება კრებისა—საზოგადოების. თუ შესწავა ვინმე ჩემ ხსენებულ ძმებს რაიმე ჩემთვის უცნობი და გაუგებარი აზრი საწინააღმდეგო ჩვენის ეკლესიის ავტოკეფალიობისა, ვგონებ, რომ მეც შევწამებდა, მაგრამ დარწმუნდეს ჩემი შეწამებელი, რომ ის, წინააღმდეგ უკვე მიც მულის წერალობითის განცხადებისა, ვერ გადამათქმევინებს ჩემს საკუთარ სურვილს, რომ ჩვენა საქართველოს ეკლესია უნდა იყოს ავტოკეფალური. შეწამების გამგონეც არ უნდა აჰყვე შეწამებას, რადგანაც სიმართლე ყოველთვის გამოჩნდება, იგი არ დაიკარგება და არც დავარდება. ვინც სიმართლეს სწორედ შეხედავს, ის პირდაპირ მიავნებს იმას, სიმართლის მიმდევარმა უნდა შეხედოს იმ პირს, რომელზედაც არას შეწამება,—თუ როგორ მსჯელობდა და მსჯელობს იგი საზოგადო საქმეში. თუ თავისი მსჯელობა და დარწმუნება დაამტკიცა საჯაროდ თავის ხელისმომწერითა და შემდგომშიაც არ შეუცვლია თავისი დარწმუნება, მაშ რაღა ადგილი აქვს შეწამებას? არც მე და არც ჩემ ძმებს ჩვენის ხელმომწერილისაგან საზოგადოდ უარი არ გვითქვამს. მაშასადამდე, სიმართლეს მოუკლებელია ბრძნული ანდაზა: „საცა ხელია, იქაც თავია“.

უმცირესი ძმთა შორის ეპისკოპოსი ექვთიმე.

— **ბრძანება „არა კეთილ საიმედო“ მღვდლების შესახებ.** ქართლკახეთის სასინოდო კანტორამ მიიღო სინოდისაგან ბრძანება. იგი შეეხება იმ სამღვდლო პირთ, რომელნიც პოლიტიკურად არა საიმედო კაცებად იქნებიან ცნობილნი. ამ ბოლო დროს, როგორც ჩვენში, ისე რუსეთში დიდ ძალ მღვდელს აპატირებენ. ამ საქმის შესახებ სინოდი სწერს კანტორას: 1. როდესაც ამა თუ იმ სამღვდლო პირის მხენე მოქმედების შესახებ მიღებულ იქნება საკმაო საბუთები, დაუყოვნებლივ გადააყენეთ იგი სამსახურიდან; 2. გადაყენებულის ნაცვლად დანიშნეთ კეთილ-საიმედო კაცი; 3 მღვდელმთავარმა უნდა გაელენა იქონიოს და შეგონოს მღვდელს შეცდომა; 4. საქმე უნდა ყოველმხრივ და კარგად იქნას გამოძიებული და 5. თუ მღვდელი თავის რწმუნას არ გადაუხვევს, მაშინ მღვდლობა უნდა ჩამოერთვას და სამოქალაქო ადმინისტრაციას გადაეცეს.

მასწავლებელთა მიმართ.

ხალხი განათლებას საჭიროებს, ხალხს ჰსურს თავიდან მოიშოროს ის ხალხები, რომელნიც აქამდის მხოლოდ მის დაძაბუნებას და გაქლევის სცდილობდნენ. ხალხს ჰსურს თავისუფლად გაშალოს თავისი შემოქმედებითი ნიჭი, გამდიდრდეს ცოდნით ამაღლდეს შეგნებით. ეს ჩვენ, მასწავლებლებს, გვავალდებს, ჩვენს სფეროში გზა გაუხსნათ ხალხს თავისუფლებისკენ, ვებრძოლოთ ყოველ ძალას, რომელიც კი ხალხს განათლებას ხელს უშლის. ვებრძოლოთ ყოველ მისწრაფებას, რომელსაც განათლების საქმეში სიყალბე შეაქვს და სცდილობს განვითარების მაგიერ ხალხის დამახინჯებას; გზა გაუკაფოთ ხალხს თავისუფლებისკენ, მოვაშინათ ნიდაგი ახლ-დემოკრატიულ სკოლისათვის, და ხალხთან ერთად განათლების საქმე ნორმალურ კალაპოტში ჩაეყენოთ.

მაგრამ ადვილი მისაღწევი არ არის ეს მიზანი დიდი ბრძოლაა საჭირო ამ საქმისათვის, ხოლო მაშინ იქნება ნაყოფიერი, როცა ერთობით ვიმოქმედებთ. მაშ შევერთდეთ, მოვიყაროთ თავი ერთ საზოგადოებაში, რომ ამ შეერთებულის ძალით თავისუფლების მტერს გავუმკლავდეთ, ერთმანეთს მხარი დაუეჭიროთ, და ამით საერთო თავისუფლების გზა გაუკაფოთ.

ამასთანავე გაწვდით „ქართველ მასწავლებელთა საზოგადოებას“ წესდებას და წინადადებას გაძლევთ შემოუერთდეთ საზოგადოებას და ხელი შეუწყეთ იმის მოქმედებას. მსურველებს ვთხოვთ მიჰმართონ ამ აღრესით: სათავადაზნაურო გამანაზიაში, შიო ჩიტაძეს, ნიკოლოზ ახმეტელაშვილს და ალექსანდრე მიქაბერიძეს.

აი თვით წესდებაც:

I

ქართველ მასწავლებელთა საზოგადოება ემსახურება საქართველოში ხალხის გონებრივ განვითარების საქმეს. მისი მიზანია:

1. ხელის შეწყობა ახალ სკოლის მოწყობაში, როგორც დასაწყისის, ისე საშუალოსი, აგრეთვე სპეციალურ სასწავლებლების და საოსტატო ინსტიტუტებისა და სემინარიებისა. ამისათვის იგი:

- ა) შეიმუშავებს პროგრამებს, ბ) შეადგენს და გამოსცემს სახელმძღვანელოებს, გ) აგრძელებს სკოლაში ააქირო საკითხავ წიგნებს, დ) ხელს შეუწყობს სკოლებთან სახალხო ბიბლიოთეკების დაარ-

სებას, ვ) იკვლევს თეორიულ საკითხებს განათლების შესახებ; დაარსებს თავის მიზნის შესაფერ სხვა და სხვა დაწესებულებას.

2. ახალი სკოლისათვის საჭიროა მასწავლებელთა მომზადება და საერთო ძალით მასწავლებელთა გონებრივად ამაღლება. ამისათვის საზოგადოება აარსებს სამასწავლებლო ბიბლიოთეკებს, მუზეუმებს, კურსებს, როგორც სპეციალურ, პედაგოგიურ ხასიათისას, ისე საზოგადოს; დრო გამოშვებით მოიწვიეს მასწავლებელთა კრებას საპედაგოგო საკითხების გაომსარკვევად, შეძლებისდაგვარად ვაჰზინის თავის წევრებს განათლებულ ქვეყნებში სკოლების ვისაცნობათ, გამოსცემს სპეციალურ პედაგოგიურ ჟურნალს-

3. ახალ სკოლის დასამყარებლად ხალხთან თანხმობით მოქმედების დამკვიდრება..

4. ხელის შეწყობა საყოველთაო და სავალდებულო განათლების შემოღების საქმეში.

5. მოძრავ სკოლების დარსება მოზრდილთათვის, წერა კითხვის შესასწავლებლად, აგრეთვე იმ ადგილებში სამოქმედო, სადაც მუდმივ სკოლის მოწყობა ამა თუ იმ მიზეზის გამო მოუხერხებელია.

9. საუბრების, საღამო, საკვირაო და საზაფხულო სკოლების გამართვა.

7. სახალხო განათლების მდგომარეობის ყოველ შხრივ შესწავლა და ყოველ წლებით ამ შესწავლის შედეგების გამოქვეყნება.

8. მუდმივ საამხანაგო სასამართლოს დაარსება მასწავლებელთათვის.

შევრთებული მოქმედება პროფესიონალურ ინტერესების დაცვის საქმეში და, საზოგადოდ, მასწავლებელთა მდგომარეობის ყოველ შხრივ გაუმჯობესებაში.

10. წევრების მატერიალური დახმარება.

11. საზოგადოება დამოუკიდებელ იურიდიულ პიროვნებას წარმოადგენს და უფლება აქვს უძრავი და მოძრავი საკუთრება შეიძინოს.

II.

საზოგადოების ნამდვილ წევრებად მიიღებიან ყველა სკოლის მასწავლებლები, აგრეთვე ის პირნი, რომელნიც თავის მოქმედებით განათლების საქმეს პირდაპირ ეშახურებიან.

2. ნამდვილი წევრი იხდის საზოგადოების სასარგებლოდ ჯამაგირის 1/3, 2/3-ს.

3. საზოგადოების დახმარებ წევრებად ით-

ვლებიან ყველა, ვინც საზოგადოების რაიმე მატერიალურ დახმარებას აღმოუჩენს.

III.

1. საზოგადოების საქმეს განაგებს საზოგადოება—ჩვეულებრივი, რომელიც მოიწვევა წელწადში ერთხელ და საგანგებო, როელსაც მოიწვევს გამგეობა ან თავისის ან სარევიზიო კომისიის გადაწყვეტილებით.

2. საზოგადო კრება ირჩევს ყოველ წლიურ გამგეობას 5 წევრისაგან და 3 კანდატისაგან. გამგეობა ახორციელებს საზოგადოების გადაწყვეტილებებს. იგი საზოგადოების წარმომადგენელია, ვითარცა იურიდიულ პიროვნებისა ყოველ ქონრივ საქმეში და აგრეთვე ყოველთვის, ამა თუ დაწესებულებებთან ან პირებთან რამე დამოკიდლება აქვს.

3. საზოგადო კრება გამგეობის გარდა, საკრების მიხედვით, ირჩევს აღმასრულებელ კომისიებს ამა თუ იმ საგანგებო მინდობილობისათვის.

4 საზოგადო კრება ირჩევს ყოველ წლიურ სარევიზიო კომისიას სამის კაცისაგან, რომლის ვალეობაა შეამოწმოს საზოგადოების მოქმედება ანგარიში და კრებას ამის შესახებ მოხსენება წადგინოს.

IV.

ყოველ რაიონში არსდება საზოგადოების ყოფილება. ადგილობრივი განყოფილება თორაიონში საზოგადოების მიზანთა განხორციელებფარგალში დამოუკიდებელი მოქმედებს.

წმიდა ნინო

I

პატარა ნინო ბაბუსა  
ეტიტინება ალერსით:  
იმ დიდი ნინოს ამბავი  
ან პროზით მითხარ, ან ლექსით!.

ვინ იყო? სიდან მოვიდა?  
თუ მართლა სომხის ქალია,  
შენ უნდა გამაგებინო,  
და მეც ვისწავლო... ვალია!

ვისგან ისწავლა ქართული?  
რად მოხედა ჩვენ ქვეყანასა?  
და როგორ დაუახლოვდა  
ქართლის დედოფალ ნანასა?

ან რა ქმნა, რომ მოარჯულა  
 ზან კერპი მეფე მირიან?  
 ამ ამბავს ყველგან სჯუველა,  
 სხვა და სხვა გვარად ყვირიან!..

შენ გენაცვალოს! ბაბუა!  
 ყოფილხარ ცნობის მოყვარე....  
 ჯერ შესწავლილი არა გვაქვს  
 ეს ჩვენი სამშობლო მხარე.



წმინდანინო  
 რომელთა მხატვრობით.

ათასში ერთმა თუ იცის  
 ჩვენი ცხოვრება, წარსული!..  
 ძვალი გვიჭირავს სხვისავენ,  
 მიგვიდის გული და სული!..

ჩვენც შენ გვარ ცნობის მოყვარეს  
 სუნით დავედებთ ყველგანა;  
 ვერ დაგამადლით, რაც ვიცით!...  
 და ვერ გიამბობთ შენ განა?

გიაშობ. უური დამიგდე  
 ჩემო პატარა ნინუცა!..  
 გულწრფილად გეტყვი მოწმედ მყავს  
 დაბლა მიწა და შალა ცა.

II

ძველად კაპადოკიაში  
 ქართველთა ტომს უცხოვრია  
 და ჰეშაქის ოფლთან ერთად  
 სისხლიც ბევრი დაუღვრია.

დაასუსტა დაამცირა  
 შეზობლებთან ხშირმა ომმა,  
 სანამ სრულად არ დაიპყრო  
 საბოლოოდ დიდმა რომმა.

გადარჯულდა, სანახევროდ  
 ვაბერძენ—გარომაელდა  
 და წინანდელ გვარ-ტომობას  
 შიშისაგან ვერ ამხელდა.

აი, სწორედ ამგვარ ხალხმა  
 წმინდა ნინო წარმოშობა...  
 მოციქულთა თანასწორი  
 და ქართველთა ამაყობა.

როცა ქრისტეს მოციქულთა  
 ერთმანეთში წილი ჰყარეს,  
 თუ რომელმა სად მიუთხრას  
 ქრისტეს მცნება?... რომელ მხარეს?..

მღვთის-მშობელიც მაშინ თურმე  
 არჩევანში ჩაერია  
 და წილად ხედა ყოვლად წმიდას  
 კერპთ მსახური ივერია.

მიგრამ იერუსალიმში  
 ქრისტემ დაუმკვიდრა ბინა  
 და მსახურად იოვანე  
 სიკვდილამდე მიუჩინა.

და სხვა მოციქულებმა კი  
 აასრულეს, რაცა ხედათ წილად  
 და დაიწყეს ქადაგება  
 უცხო ხალხში მათ კეთილად.

შეხვედა მაშინ ანდრეასაც  
კაპადოკიაში გავლა;  
დამტკიცება ქრისტეს მცნების,  
მონათულა და კერპთა სწავლა.

ბევრმა იმ დროს სიიღუმლოდ  
ღმერთად ქრისტე აღიარეს  
და მათ რიცხვში წმინდა ნინოს  
წინაპრება ინეტარეს!..

## III

განვლო ხამმა საკუნომ,  
იშვა ნინო ქრისტიანად  
და ჯერ ისევ მცირე იყო,  
რა წავიდა სხვა ქვეყანად!.

რომ ენახა თავის თვალთ  
გოლგოთაც და საფლავიცა  
და აქ იერუსალიმში  
ქრისტეს რჯული გაემტკიცა.

ის სულ იმის ფიქრში იყო,  
თუ სად არის ქრისტეს კვართი,  
ელიოზმა რომ წაიღო?  
რა ხალხია ის წარმართი?

ერთხელ ძილში მან ჩეცნება  
ნახა თურმე საკვირველი:  
ვაზის ჯვართი წაუდგა წინ  
ყოვლად წმინდა მღვთის-შშობელი..

და უბძანა: „მე წილად მხვდა  
ივერია!.. კერპთა მხარე!...  
შენ გიბრძანებ, ჩემ მაგიერ  
იქ წახვიდე!... მოიარე!...“

ჩემი შეილის სიყვარულით,  
მე ვხვდავ, რომ გიძგერს გული.  
გამოძებნე მისი კვართიც,  
სადაც იყოს დამარხული!..

ძნელი გზაა, მაგრამ შენ კი  
აიტანე განსაცდელი;  
აი, ხელში ეს გვეკიროს,  
მუარველი და შენი მხსნელი“!..

ეს უთხრა და მისცა ხელში  
ვაზის ჯვარი დიდებული:..

გაეღვიძა ნინოს. შეკრთა!..  
მოეფინა სიხარული!

ნახა ხელში რომ გვირა  
მღვიძარესაც ვაზის ჯვარი  
თმა მოიჭრა, აქვე შეჭკრა  
გადიწერა მან პირჯვარი.

ჯვართი ხელში, რწმენით გულში  
ივერიას მიაშურა  
და იმისი ლოცვა—მადლი  
საქართველოს მოასხურა.

წამოვიდა არ დარიდა  
თავი უცხომ გა! აქირსა  
და მწყემსებთან გამოკითხვით,  
წყალ-წყალ დაჰყვა სულ ტკერის პირსა.

და რადგანაც ურიების  
მან იცოდა კარგად ენა,  
ცოტა ხნობით მან ურბნისში  
მათთან ერთად შესივინა.

## IV

ერთხელ ნინომ შენიშნა, რომ  
ხალხი მიდის დარაზმული  
და იკითხა სად მიდიან,  
ასე მორთულ-მოკაზმული?

უთხრეს; მცხეთას!.. დღეობაა  
დიდი ღმერთის არმაზ-სა!...  
ხელ ოქროში ჩაჯმდარია..  
ვით მეტოქი მალლა-მზისა.

აედგენა ნინოც სხვებსა,  
გაოცების, გულის თქმაში  
და წავიდა სხვებთან ერთად,  
როგორც მგზავრი დიდ-მცხეთაში!.

ნახა იქაც მოძრაობა:  
გამოსულა დედა-შვილი,  
რალაც სადღესწაულოდ  
მორთული და მოკაზმული.

დაჭკრეს დაფსა და ხალარას,  
გამობრძანდა მირიანის;  
უთვალავი ახლდა ჯარი  
და ზედ-მეტი მისიანი!..

ეროვნულის ღიჯანით,  
მიღის ყველა ზადენ-გორას;  
აქ დასდგავენ სისულელის  
და ოცნების ხორა-ხორას!

აედენა იმითაცა,  
უნდა ნახოს ხალხის ძალა,  
სხვებს მიასწრო!.. კლდის ნაპრალში  
შევიდა და მიიმალა.

უხილავი, უჩინარი  
სხვებისაგან შილავს თავსა,  
მიგრამ თვითონ კი უყურებს  
ყოველიფერ სანახავსა!

აი, მის წინ ზადენგორა!..  
ზედ არმაზი ამართული;  
მარჯვნივ გაინ მარცხნივ გაცი,  
მორთული და მოკაზმული!..

ხედავს არმაზს ოქროს ჯაჭვით,  
ხმალით ხელში მოელვარეს  
პრისხანებთ გადაჰყურებს  
საქართველოს ყოველ მხარეს!..

მიღის ხალხი, მის წინაშე  
სასოებით, მუხლსაც იყრის;  
დადებულნი და თვით მეფეც  
მოწიწებით თ-ვს დაბლა ჰხრის.

დედებიც კი კენესა-ოხვრით  
მსხვერპლად ჰწირვენ პირშო შელისა,  
და შიშისაგან ატანილნი  
თაყვანს სცემენ იმ ხელ-ქმნილსა.

ამას ყველას ჰხედავს ნინო;  
აშფოთებით უცემს გული  
და ეს ხალხი ებრალება  
ზეზეულად დაღუპული!...

ხელთ ააპურობს შილას ცისკენ  
და შესტირას ღეთის-შობელსა,  
როგორც ჭირში დაშმარებელ  
სადურისგან გამომსხნელსა:

-დედავ ღეთისავ! რა ძნელია  
ამის ხილვა და ყურება,  
რომ უფილა მიწის ზურგზე  
ამისთანა უგნურება....

თუ შენი ძე, ის ღმერთ-კაცი  
გაიმეტე ჯვარ-საცშელოდ,  
რადღო სტოებ სხვა მერჯულეს  
ქვეყანზე საეკველოდ?

არა! ყოვლის შემძლებლო  
მოისწრაფე! მოიხილე!..  
დაეც მგზი კერპთმსახურთა;,,  
გამოსცადე! გააფრთხილე!

მაშინ მოხედა ქარი ნიავს,  
ცა შეიკრა ღრუბლით შავად.  
მალლით სეტყვა გადმოჰყარა  
ლიტრა-ლიტრა კაცის თავად!

დაფრთხა ერი გამოიქცა—  
ისევ მცხეთას მოაშურა.  
შემუსვრას და დამარცხების  
კერპებისას ვერ უყურა.

სთქვა: " ითრუჯან ქალღვევლმა  
ჩაიღინა ყველა ესო;  
ერთხელ რომ ზღვა მიაყენა  
მის სანაცულოს უხდის ღღესო!"

მეორე დღეს დამხოზილი  
ნახა ხალხმა აქ ღმერთები;  
აქა-იქა მტვერში ეგდნენ  
მათი ნაშთი-ნაფლეთები:

ზოგან ტანი, ზოგან თავი,  
ზოგან ფეხი, ზოგან ხელი  
და მათ ახლო მხოლოდ წმინდა  
ნინო იღვა უვნებელი!.

წამოვიდა ნინოც მცხეთას,  
ბინა დასდვა მაყვლიანსა  
და სცხოვრებდა აქ მლოცველი  
ჯვარცმულისა... მკირე ხანს...

მკურნალოდბა. ქრისტეს ძალით  
ჩაიდენდა სისწაულსა  
და სნეულთა განკურნებით  
ის იგებდა ქვეყნის გულისა.

რალაც სენით უკურნებლოდ  
აუად გახდა დედოფალი;

არაფერი რომ საბოროტო იქნებოდა  
 არ მიუღდა მას წამალი, და მისი  
 და მაშინ კი ობოლ-მკურნალს  
 სასახლიდან მიეგზავნა.

შუამავლად და მიმყვანად  
 სეფე ქალი და შრომების

მაგრამ ნინო არ წავიდა  
 და პირიქით შეუთვალა:  
 „თვითონ მოდი, რადგანც მკურნებს  
 ქრისტეს ჯვარი და მის ძალი.“

დამოჩილდა დედოფალი,  
 რომ მეტი გზა ილარ ჰქონდა!...

ტკბილი ახის ხომ სიცოცხლე  
 და სიკვდილი მოაგონდა

სასოებით თავყვანისკა  
 ჯვარცმულს; მწარე ცრემლებს ღვრიდა  
 და იმ დედა-კაცსაც  
 წმინდა ნინოს თავს უხრიდა...

და ნინომაც კვებ-დედოფლის,  
 როცა ნახა,

დადგა ლოცვით სასოებით  
 მალათა ჯვარი გადასახა.

ტკბილ ქართულად უთხრა თუ გრწამს  
 ჩემი ღმერთი შენდა-მხსნელად,  
 განიკურნაო და ხვილოდე  
 მორჩენილი უვნებელად!..

ეს რომ უთხრა ზე წამოდგა  
 განწმენდილი დედოფალი  
 მისთვის არც დრო!.. არცა თამი,  
 და არც რამე სხვა წამალი..

გაუვირდა მოჰყვა ტირილს.  
 აუჩილდა ნინოს გული,  
 და იმ დღიდან ილიარა  
 როგორც ღმერთი მან ჯვარ-ცმული!

იმავე დროს მან გაკურნა  
 უფლის წული სულთ-მომბრძავი,  
 და დედის შმა თვით დედოფლის  
 აღადგინა მომაკვდავი.

ხმა სასწაულო მომკვდომის  
 დაუვარდა წმინდის ქვეყნად  
 და აზობდენ; „მოსულია მ  
 ივერიის შვებად და სხნად“

ახმაურდა ივერია,  
 გაიღვიძა შთამ და ბარმა  
 და კერპობაც შეურაცყო  
 ჯვარცმულმა და მისმა ჯვარმა!

დამოწმა აბიათარ  
 ებრაელთა მღვდელმა ეს ხმა  
 და ვინც იყო იქვეყური,  
 გაუმაგრდა მით გულის თქმა!..

VIII

გამობრძანდა ერთხელ მეფე  
 მუხრანისკენ სანადიროდ  
 და ოთხიკა თანა მხლები  
 გაიყოლა სათათბიროდ.

უთხრა: იუნდა გაგიმტავენოთ:  
 საიღუმლო გულს ნადები:  
 დიდათ ვსწუხებარ, რომ დავაგდეთ  
 ივერიის ჩვენ ღმერთები!

რომ წავდგებით საიქოას,  
 რალს ვეტყვით ჩვენ წინაპრებს,  
 რომ არაფერს არ ვუჯერით  
 ილარც ცოცხლებს და ილარც მკვდრებს!

ზადენის და არმაზის წილ  
 თავყვანსა ვცემთ ვილაც ჯვარ-ცმულს;  
 დედა-კაცის რაღაც ზღაპრებს,  
 ყურს ვუგდებთ და ვაყოლებთ გულს!

ის ყარიბი დედაკაცი  
 სასწაულებს ჩადის ხშირათ,  
 მაგრამ იმას ეშმაკები  
 ხელს უწყობენ ჩვენდა ქირალო.

მოატანა სამხრობამ რომ  
 ჯერ ნადირი არ გვინახავს!..  
 თუ არ რისხვის ღმერთებისას,  
 ეს შემთხვევა მაშ რასა ჰგავს?

აღბათ წინაპრების ღმერთმა  
 შეგვაქცია რისხვით პირი,

აღარ უნდა ჩვენი ლხენა;  
მსურს მოვიპოოთ ქირზე-ქირი.

რაც შევეოდეთ, ისიც კმარა.  
შევიანათ ყველამ ერთად  
და ღმერთები ჩვენგან კრული,  
აღვიართ ისევ ღმერთად!.

რომ დაებრუნდეთ მცხეთას ისევ,  
მთლად სამეფო იქ შევყართ  
და ეს ჩენი განძრახული,  
საქვეყნოთაც აღვიართ

დავგმოთ ნინო ვით გრძნეული!..  
დაუღგება ეშმაკს თვალი! ...  
და თუ ნანაც არ დაგვთანხმდეს  
გაეწიროთ თვით დედოფალი“.

ამ სიტყვებზედ მთა შეიძრა  
თვითეულს ეცა ელდა;  
მოწმენდილმა ცამ იქუხა,  
შზეც გაშავდა... ჩამობნელდა.

აიტანა შიშმა ყველა;  
აუახსახდნენ ვით ალვის რტო.  
გაიფანტნენ აქეთ იქით!..  
დარჩა მეფე მარტო-მარტო!...

აქეთ ეცა!.. იქით ეცა!..  
ვერ გაიგო გზა და კვალი;  
ველარაფერსიხედება,  
დაძღვარი აქვს ორივე თვალი!.

მაშა ჰაპის ღმერთს იგონებს,  
შესაწირავს ღიღს ჰპი-დება.  
მაგრამ არა ეშველარა:  
მაინც ბნელა არ თენედება!...

გზა დაბნეულს და დაღუპულს,  
მოაგონდა ცოდვილს ნინო;  
-ნინოს ღმერთო და შენ გიწამო,  
თუ ნათელი მომიფინო-!

ამის თქმა და გათენბა  
ერთი იყო... შზე გაბრწყინდა.  
აეხილა ყველას თვალი.  
მაგრამ ყველა კი შეშინდა.

და მაშინ სთქვეს: „ის ყოფილა  
ქვეყანაზედ ერთად-ერთი  
და ამიერ ჩვენცა ის ერთი,  
გვეწამს ჯვარცმული, ნინოს ღმერთი.

ჩამობრუნდენ მცხეთას და ხალხს  
მით მოუთხრეს სასწაული,  
და შეიქმნა იქ საერო  
ლიტანია-სიხარული!...

იმ დროს ნონო მაცელოვანში  
ჩვეულებრივ იდგა მწუხრად  
და მეფემაც მიაშურა  
ჯარით, მოყვრად არ თუ მტრათ.

უთხრა რაც კი თვალთ ნახა  
სასწაული თხოთის მთაზე  
და დასტურიც ნინოსაგან  
მან მიიღო გულის თქმაზე.

კონსტანტინე ღიღს მისწერა,  
საბერძნეთსაც მიახარა!..  
და რომ რჯული გაამტკიცოს  
მუნათ მღვდლები დაიბარა!...

VIII

მაშინ უთხრა მეფეს ნინომ;  
ღმერთს შეეტყუო ეს ქვეყანა!...  
და ამ სამწყსოს მოსაეღლეად  
აქ დარჩება მხოლოდ ნანა.

მე კი სამღრთო ზენა ძალი  
მაკისრებს და მაიძულებს,  
კახეთისკენ გავემგზავრო,  
მივიშურო კერპ-მთიულებს!

წავიდა და აქ დაუხვდა  
მ.ს, სალომე უფარმელი;  
დედოფალმა წმინდის გრძნობით,  
გაუშვირა წმინდას ხელი.

გაამტკიცეს მთელ კახეთში  
ქრისტეს რჯული. ქრისტეს მცნება,  
და ბოდბეში მოისურვა  
წმინდა ნინომ განსვენება!

იქ სცხოვრებდა უდაბნოში  
ჰქადაგებდა ახალ-რჯულსა!...  
და ერთ რჯულობა აერთებდა  
ვაკელებს და მთიულებსა!

IX

რომ მოვიდა დასასრული  
და დაგდო ეს ქვეყანა,  
იქ იახლა მკრიანია...  
დღღოფალიც წაიყვანა.

მოინდომა მცხეთაშივე  
ჩამოტანა და დამარხვა,  
მაგრამ მეფეს გაუცუდდა  
სურვილები და განძრახვა;

ველარ დასძრეს ადგილიდან  
წმინდა კუბო!.. მიიმედ ნახეს!..  
და დამარხვა ნეტარისა  
ადგილობრივ განძრახეს.

ზედ ააგეს ეკლესია  
წმინდა ნინოს სახელობით  
და იქ მთელი საქართველო  
თაყვანს სცემდა წლიდან წლობით!

მაგრამ დღეს კი აღარ მიდის  
ქართველი, რომ სცეს თაყვანი,  
რადგან მისთვის დაკეტილია  
არის წმინდა გალავნი!...

თითქმის თოთხმეტ იანვარსაც  
არ ზილიან!.. თავს არ ხრიან,  
რადგანაც აქ ქართულის წილ  
„პაქის-პაკი“ იძახიან.

აკაკი.

რომი და ძიხობიანობა საქართველოში.

შემდგომი \*)

მოიწვია ფოტი რა წაიკითხა, გაეხიზდა დიდი, ამ-  
გვარი მცბიერი საშვალეებით მიიზნო, მოუყარა ათის  
ნაირი ენა სიტყვა კაზმულობით ვასილ კეისარსა, მოაღ-  
ორა და გახდა კიდევ პატრიარხად 879 წ. სამის  
წლის განშავლობაში უფრო უარესი მანვე ლეარ-

\*) იხილეთ ქვემოთ ნახშია № 1, 2, 3-4

ძლი დასთესა, ვიდრე 882 წ. მარტინო პაპამან  
შეაჩვენა და გაუქმა ყოველი მისი წყობილება რა  
საქმენი, რომ არ იქმნა არა მოგვეყარა რა მისმ-  
ლაერობს გაიგეს მისი მზაკობაცა, ვასილის ძემ  
ლეონ კეისარმან გარდმოავდო პატრიარხობის კათე-  
დრიტგან და განაძია შორს საღლაც და იქ მონას-  
ტერში გამომწყდელი მოკვდა და დასაფლავდა  
უცნობ ადგილას; მისგან დაფლულმან ლველფმან  
ერთი ხანს იღვია ნელნელა, ბოლოს იფეთქა ერთი-  
ან და მოგვზნა მთელ აღმოსავლეთსა.

1043 წ. რაკი გაპატრიახდა მიქაელ კერულა-  
რიო, მიიზნო, მიიყოლია მთელი გაამაყებული  
თავიანთ სამღვდელთა, მარტინო-მადიდობლობითა  
და გაახლა მეორედ ფოტ პატრიარხის მიყრუე-  
ბულ მივიწყებული მწვალელობა. 1053 წ. დას-  
წერა ვრცელი წერილი მიქაელ კ. პატრიარხმან  
რომის კათოლიკეზედ საესე მტრულს წინაღ-  
მდეგობითა. გაუგზავნა ებრანიის იოანე ეპისკოპოსს  
ფულის თემში იტალიისა. მიენდო მისთვის, რომ  
მიერთშიათ პაპისთვის, რათა შეეტყუთ მთელი და-  
სავლეთის რომის კათოლიკეთა სასულიეროთ მთე-  
ლი თავიანთ დიდი შეტოპილებანი. ა. წვერ-ულ-  
ვამის პარსეა მღვდლებისა. ბ. შაბათს დღეს მარ-  
ხვის შენახვა. გ. ხშიადით წირვა. დ. დიდ მარხვაში  
აღელუის თქმა. ე. დამრჩელისა და სისხლის მიღე-  
ბა. ვ. მღვდლების უცოლ-შვილობა ამისთანა ტყვი-  
უბრალო ხალხთ დასაჯერებელთ ბრალად სდებდა-  
რა ჰსცნა ესრეთი უკულმართობა მე-IX ლეონ პაპ-  
მან, ეწყინა დიდად, გაუგზავნა მოციქულები მაში-  
ნვე კოსტანდინ მონომახ კეისარსა მოსალაპარაკე-  
ბლად, მაგრამ პატრიარხმან არ ინება და არც გაი-  
ცადა თვალთ ისინი. მით გაწყურენ პაპის მოცი-  
ქულნი და აიასოფიაში შეაჩვენეს კერულარიოც  
და მისი მომხრენიცა. ამავე ნაირად იკადრა და შეაჩვენა  
პატრიარხმაც ისინი, ძალა დაატანა თავის სასულიერ-  
ოთა და ერობასაცა ამდგარიყენენ ფეხზედ, გაეწყვი-  
ტათ ყოველ ნაირი სულიერი კავშირი მათთან და ის-  
ვეც აქმნენინა. ლატინის ტიბიკონის პატრები ყველ-  
განაძიეს, გასდვენენ თავიანთ მონასტრებისაგან; კ-  
ნსტანდინეპოლს და მის გარემო ადგილებშიაც ას-  
მოხდა. იქამდის ააღელა მთელი ბერძნობა, რომ თ-  
ვი ველარ გაართვა კოსტანდინ მონომახ კეისარმან და  
დაანება თივი კერულარიოს მძლავრობასა, აღ-  
ინაღელა, რაც უნდა ქმნილ იყო.

კოსტანდინ მონომახის შემდგომ რა იწყ-  
ახელმწიფოს მმართვეა ჯერ თეოდორა დედოფალ-  
მან და მერმე მის ძემ მიხაილ კეისარმან VI, გა-

კირვა საქმე ყოვლიფერში მ. კერულარიოს, თავის ნათქვამებს, რომ ველარ ასრულებდა, შემოიკვანა კოსტანდინეპოლში საწინააღმდეგოდ ისააკ კომნენო 1057 წ. აუჯანყა ბერძნები და მის მაგიერ ისააკ კომნენო მოამდომებინა კეისრად. მერმე ჩადგა თვითვე პატრიარხი მაშვალათ კეისარსა და მოქალაქეთ შუა შესარიგებლად, უჩრია მიხაილოს გარდადგომა ტახტიდგან ხალხის დასშვიმშვიდებლად. ჰკითხა შუა კაცს მიქაილმან, რას მპირდება პატრიარხი კეისრობის წილ, უთხრა ზეცას სასუფეველსაო. მაშინვე ტანთ გაიძრო სამეფო ბისონი, მიატოვა მათ და თვით შევიდა მორჩილად მონასტერში და დაჯდა!.. კერულარიოს მზაკვრობით გაკეისრებულმა კომნენომაც ვერ აიტანა კერულარიოს უთავბოლო ბატონობა, დააკერინა უგრძობლად და განაძია ექსორიაში, სადაც მოესპო ანჩხლი კაცთ მოძულე სიკოცხლეცა.

მიქაელ კელურალიოს სიკვდილთა არა თუ მოისპო მწვალელობა, არამედ ცოდვისგან უფრო გაძლიერდა მისი მოადგილე პადრიახთაგან, არა მარტო მთელ საბერძნეთის სამფლობელოს, ისივე მის მოსაზღვრე სამფლობელოთაც რუსეთსა და საქართველოსაც მოეფინა ოთხ-კუთხიე რომის კათრღვეთ შეცდომილების ხმები, რის გამოც ატეხალიყო ყოველგან საბერძნეთის სამფლობელოში ბჭობა და ცილობა სარწმუნოებაზედა. ამ დროს იყო ჩვენი მამა გიორგი მთაწმინდელი ანტიოქის საპატრიარხოსაკენ. სიონ წმინდელი მონაზონები ჩვენებურ ქართველ მონაზონებს 60 სულამდის მონასტრიდგან გარეთ ჰყრიდნენ, ცილს სწამებდნენ თქვან მართლ-მადიდებელნი არა ხართო; აბეზღებდნენ თეოდოს ახალ პატრიარხსა. არ ჰკითხა პატრიარხმან ამ საგანზედ გიორგი მთაწმინდელს მაშინვე მის წინ სარწმუნოების სიმეოლოს წართქმით იმართლა თავი. მერმე მოწინააღმდეგეთ ახირებულთა აცნობეს პატრიარხისა: ეგ ქართველები არ ემორჩილები 4 საპატრიარხოს. არც ერთი ჰრისტეს მოციქულთაგანი არ მისულა მათ ქვეყანასა, არ მოქვეულან მათგან და თავიანთ თავათ ისმენ კათალიკოსსაო! ამაზედ უთხრა პატრიარხმან მამა გიორგი მთაწმინდელსა: „ჯერ არს რომელ ეკლესიანი და მღვდელთ-მოძღვარნი თქვენნი სამოციქულო ამ საყდრისასა იმწყესებოდენ... ესე შენგან შესაძლებელ არს, რამეთუ უწყვი ვითარმედ გისმენს მეფე თქვენი. უკეთუ მიუწყებო და უწყვი უმჯობესი, ხოლო უკეთუ არა ისმინოს, მიუწყვი ოთხთავე პატრიარხთა საყდრის მოდგმათა

ჩვენთა და ვაუწყვი თვით რჯულობა და ქედღიცხელობა თქვენისა ნათესავისა. ვითარმედ თვინიერ სამოციქულოსა კანონისა თვით იმწყესებიან და მოციქულთაგანი არაინ მისულ არს ქვეყანასა მისსა და ესრე შრავალ ლეწლსა შეგამთხვიენე, ვიდრე არა მეფე თქვენი თვით წინაშე ჩვენსა მოვიდეს და ხელმწიფობასა ჩვენსა დამორჩილოს.“

ხოლო ნეტარმან ამან დაწყნარებით და ნელად რქვა პატრიარხსა, ვითარმედ. „ჰოი წმინდო მეუფეო... ვინ არიან უგუნურნი გამზარხნი შენნი... ამა ესე რა ვარ მე უნარჩევსი და უმდაბლესი ყოველთა ძმათა, მე მოგცე მათ ყოველთა წილ-პასუხი მიღებაზეც წიგნი მიმოსვლა ანდრია მოციქულისა და მუნით გეუწყოს საძიებელი თქვენიო.“ ხოლო პატრიარხმან უბრძანა თეოფილეს მოღება წიგნისა მის და პირველ წაკითხვისა ჰრქვა: „წმიდო მეუფეო, შენ იტყვი ვითარმედ, თავსა მის მოციქულთასა პეტრეს საყდარსა ვზიო, ხოლო ჩვენ პირველ წოდებულისა და ძმისა თვისისა მწოდებელისა ნაწილნი ვართ და სამწყესონი მის მიერ მოქვეულნი და განათლებულნი და ერთი წმიდათა ათორმეტთა მოციქულთაგან. სიმეონს ვიტყვი კანანელსა, ქვეყანასა ჩვენსა დამარხულ არს აფხაზეთსა, რომელს ნიკოფსი ეწოდების, ამათ წმიდათა მოციქულთა განათლებულნი ვართ; ვინადგან ერთი ღმერთი გვიცნობიეს. აღარ უარ-გვიყოფიეს და არცა ოდეს წვალებისა მიმართ მიღრეკილ არს ნათესავი ჩვენი და ყოველთა უარის მყოფელთა და მწვალელებელთა შევაჩვენებთ და ვსწყევთო; ასეთი ბრძნული შართალის პასუხთ მოუქრა სიტყვა პატრიარხსა. ამხილა და კიდევაც დააფიქრა თავიანთ ცვალობაზედა, იქამდის რომ ვეღარა გაუბედა რა საწინააღმდეგო სიტყვა, რითაც შერცხვათ მის მოწინააღმდეგეთაცა დიდათ!“ სამოთხ. 460.461.

რადგან საქართველოში ბერძნის სასულიეროთაგან გავრცელებული რომის კათოლიკებზედ სახელ გატეხილობა, უფრო შრავლდებოდა და წვეულა კრულევით. გაგქვიანდა მეფე და მიიწიეს მამა გიორგი მთაწმინდელი: „იწყვი ლეთის მსახურმან მეფემან ბაგრატ და გიორგი ძემან მისმა, დედოფალთა კათალიკოსმან და ყოველთავე მღვდელ — მოძღვართა და მთავართა ვედრებად და წვევად, რათა აღმოსავლეთს განვიდეს და იხილონ წლ. იგი და იკურთხნენ და განათლდენ მის მიერ.“ სამით. 463 სჩანს, აცნობეს სიონწმიდელ ბერებმან, რომ შეარცხვინა გიორგიმ თავიანთ მოწინააღმდეგენი და ამისთვის მიიწვიეს მეფემ

და კათოლიკოსმან თავინთ ეკვენულობის ასას-  
ხნელათ. ჯერ არ მიდიოდა, იცოდა, რომ შეე-  
კლინათ ქართველებიცა ბერძნებს. მერმე რომ გა-  
უმეორეს თხოვები ცალკე შეფემ, ცალკე შეფის სა-  
ხლობამ, ცალკე კათალიკოსმან თავის კრებულთა  
და ცალკე თავად-აზნაურობათა. მაშინ წავიდა ნახა,  
რომ ყველას სიმართლის შეტყობა და გაგება უნდათ.  
რა მივიდა დიდის სიყვარულით მიიღეს, როგორც  
ქრისტეს მოციქული. დატრიალდა მათ შუა წმიდა  
ამხილა პირ-დაუფერებლად შეცთომილება ყოველ  
თა, დიდსა თუ პატარასა ბერძნებთან ერთად, მეფესა  
თუ კათალიკოსსა, ეპისკოპოსთა, მღვდელთა, ბერ-  
თა თუ ერსა. მათაც მაშინვე შეინანეს და აღსარება  
ზიარებას მიმართეს, რომ ახსნილ იყვნენ მწვალე-  
ბლობაში მონაწილეობის მიღებისაგან ბერძნებთან  
ერთად.

ხოლო ამიერიტენ იწყეს აღსარებად და სინა-  
ნულად თვით მეფემან, კათალიკოსმან, მღვდელთა  
და დიაკვნთა, მონაზონთა, მოწესეთა, დიდებულთა  
და მთავართა, მღ-დართა და გლახაკთა, ესრეთ  
მხურვალთა სარწმუნოებითა მოისწრაფდეს. და  
ესრეთ განანათლა აღმოსავლეთი; სამოთ. 466. ხუთი  
წლის განმავლობაში სისრულეში მოიყვანა წმინდა  
მან ყოველი თავის გულის ნადებნი, ვასწურთნა  
გაასწავლა, ჩააყენა ყოველნი რიგ კანონში და დაამ-  
ტკიცა ერთს წდ. კათალიკე სამოციქულო ეკლეს-  
იასთან შეერთებულნი. აკურთხა ყოველნი, გამოე-  
შვიდობა, იახლა თავისთან 80 ყმაწვილნი სასწა-  
ვლოში მისაცემად მთაწმიდას და დაადგა თავის  
გზას! რა ჩავიდა კოსტანტილეპოლს, წარსდგა სამ-  
ეფო სასახლეში თავის საქმისთვის, სიდაც დახ-  
დნენ მეფესთან დიდებულნი, ჰქონდათ საუბარი  
სარწმუნოებაზედა და ვერაფერი ვერ გაეკვილით  
ეკარგი, რომ ნახა კოსტანდინე დუკინმან მამა გიო-  
რგი მთაწმინდელი გაეხარდა და მიიღო დიდის პა-  
ტივისცემითა, როგორც მოძღვარი, მერე სხვათა  
შორის ჰკითხა ზრდილობიანათ: "სჯულისათვის,  
მართლმადიდებლისა, ანუ თუ არს რომ განყოფი-  
ლება სარწმუნოებისა თქვენის სრულსა მას და უც-  
დამელსა სარწმუნოებასა ბერძენთასა თანა? - ხოლო  
ნეტარ მან ჰრქვა მეფესა: -ესე არს სარწმუნოება  
მართალი ნათესავისა ჩვენისა და რაემს ეტაგზის  
გვიტნობის აღარა მიდრეკილ ვართ მარცხულ, გინა  
მარჯულ და არცა მიესდრკებით თუ ღმერთსა უნ-  
დეს... პატროსანო მამო, მე კაცი ვარ სამხედ-  
როთა საქმეთა შინა აღზრდილი და ვერ წელილად  
ბეჭნიერ ვარ ყოველსა... ბერძენთა და რომთასა...

მაუწყე ვითარ არს ესე, რომელ ჩვენ და თქვენ  
მფუენითა ვწირამეთ და ზედაშეს წყალს ვურევთ,  
ხოლო რომნი ხშიადითა და უწყლოდ <sup>1)</sup> სწირვენ.  
ფრიად უცხოდ მიჩანს ესე და წინააღმდეგ, ანუ რა  
არს ძალი პურის კომისა და მარილისა, ანუ წყალი  
რომელს ურთავთ ზედაშესა. განგვიმარტე და გულის  
ხმა გვიყავ წმიდაო მამაო? -  
გასაგძობია.

**მოწოდება**

სამი თვეა უკვე, რაც საქართველო აუწერე-  
ლს გაქირვებაში ჩავარდა, რაც თავს შავი ყორანი  
დაჩხავის. ჯერ კიდევ გუშინ აყვავებული სოფლები,  
დაბები და ქალაქები მიწისთან არის გასწორებული.  
ნანგრევებად არის ნაქცევი და ამ ნანგრევებს შო-  
რის ათასობით ვხედავთ გულ-დაწყულულ ბა-  
ლხს, რომელმაც დაჰკარგა ყველაფერი - მახლობე-  
ლთა საცოცხლე, კეთილდღეობა, მთელი თავისი  
აგლა დიდება, მწარე ოფლითა და სისხლით შეძე-  
ნილი. ყველა ამს ზედ ერთის ერთი ახალი უბედ-  
ურებაც - შიმშილი, რომელმაც ზოგიერთ ადგილას  
უკვე იჩინა თავი. არაფერი არ უშველის მიწასთან  
გასწორებულ ხალხს ერთის გარდა: საჭიროა დაუყო-  
ვნებელი დახმარება, საჭიროა დღესვე საზოგადოე-  
ბრივ ორგანიზაციის მოწყობა შემწეობის აღმოსა-  
ჩენათ. კმარა გულ-ცივობა, კმარა გულ-გრილობა.  
ტანჯულ მოძმის წინაშე! უნდა მთელი ჩვენი ძალ-  
ღონე მოვიკრიბოთ და ხალხს ამ საერთო გაქირვე-  
ბის წრის გვერდში ამოუდგეთ. თვითული კაპეი-  
კი ცოტად მაინც შეუმსუბუქებს ბედს ტანჯულთ  
და წამებულთ. მაშ შეერთდით კეთილ საქმისთვის  
და შეუდექით მოძმის ბედის შემსუბუქებას.

**დაზარალებულთა დამხმარებელი კომიტეტი**  
შემოწირულებას იღებენ: 1. კომიტეტის თავ-  
მჯდომარე უვან. კნ თ. დ. გრუზინსკისა („ორი-  
ანტის“ სასტუმროში); 2. თავჯდომარის ამხანაგი  
კნ. მ. ვ. ჯამბაკურიან-ორბელიანისა (ნიკოლაე-  
ვის ქუჩა, საკუთარი სახლი) და კომიტეტის წევრები:  
3. ნ. ბ. ყიფიანი (ვოენაია, 10); 4. გ. მ. ლასხი-  
შვილი („შრომის“ რედაქცია); 5. ვ. ი. რცხილაძე  
(კრუზენშტერნსკა-ა, 3) - ქახეთის“ საზოგად. ერ-  
ვის მოედ.); 6. ი. ს. ლულაძე (კიროვნაია, 18)  
და ხ. პ. ლლონტი (ს.თავად-აზნაურო გიმნაზია).  
კომიტეტი სთხოვს რედაქციებს თავიანთთანა  
მიიღონ შემოწირულება კომიტეტისათვის გადა-  
საცემად.

რედაქციაში: პ. დ. მულაშოვ. იგივე პაწაძე.  
სტამბა - გუტემბერგისა - ბ. ს. ესაძე. სასახლის ქუჩა.